<u>დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2023 წლის</u>
<u>წლის 7 ნოემბრის N 11 სხდომის ოქმით</u>

უნივერსიტეტში აკადემიური და კვლევითი პერსონალის მხრიდან სამუშაო დროს გამოუცხადებლობის გამო

შეტყობინების წესი

1. ეს წესი ვრცელდება აკადემიურ პერსონალზე, მასწავლებელთა პერსონალსა და სწავლების პროცესში ჩართულ პირებსა და კვლევით პერსონალზე;
2. უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით პროცესში ჩართული პირები ვალდებულნი არიან, უნივერსიტეტთან შრომით ურთიერთობაში ყოფნის პერიოდში, ნებისმიერი მიზეზით უნივერსიტეტში გამოუცხადებლობის გამო, მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლისას, წერილობით შეატყობინონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტს/სკოლას ელფოსტაზე info@iliauni.edu.ge;
3. სასწავლო პროცესში ჩართულმა პირებმა განცხადებაში უნდა მიუთითონ, რა ვადით უწევთ ლექცია-სემინარების, ლაბორატორიული ან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტის გაცდენა, რა ვადაში შეძლებენ მის აღდგენას, **ან ვინ შეცვლის მათ უნივერსიტეტში არყოფნის პერიოდში**. ლექცია-სემინარების, ლაბორატორიული ან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტის აღდგენა/ჩანაცვლება შეთანხმებული უნდა იქნას სტუდენტებთან არგუსის მეშვეობით;
4. ფაკულტეტის/სკოლის დეკანები ვალდებულნი არიან, ეს წესი ყოველი სემესტრის დაწყების წინ გააცნონ თავის დაქვემდებარებაში მყოფ აკადემიურ პერსონალს, მასწავლებელთა პერსონალსა და სწავლების პროცესში ჩართულ პირებს, მკვლევრებს;
5. ამ წესის 1-2 პუნქტებით დადგენილი ფაქტის შეუტყობინებლობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს;
6. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ამ წესის 1-2 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობას, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, განახორციელოს რიგი ადმინისტრაციული ღონისძიებები (საყვედური, ხელფასის დაქვითვა, აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების გადახედვა, გაცდენილი საათების ანაზღაურება, ხოლო საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლების/ლექტორების შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტა).